<u>დამტკიცებულია</u>
<u>ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების</u>
<u>განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მიერ</u>
<u>19 ივლისი, 2007</u>

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის სტრატეგია

თბილისი, ივლისი, 2007 წელი

<u>დამტკიცებულია</u>
<u>ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების</u>
<u>განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მიერ</u>
<u>19 ივლისი, 2007</u>

<u>წინასიტყვაობა</u>

სახელმწიფო ხელს უწყობს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა ადამიანის უფლებების დაცვას, მათ დახმარებასა და რეაბილიტაციას, ახორციელებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ
ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლის 4.2

ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად, საქართველოს ფარგლებს გარეთ, საქართველოს ხელისუფლების საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

საქართველოს ხელისუფლება აქტიურად ახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებასა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობას, ამ დანაშაულის ეფექტურ გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას, მსხვერპლთა და დაზარალებულთათვის ეფექტური დახმარების აღმოჩენას, მათ საფუძვლიან რეაბილიტაციასა და საზოგადოებაში რეინტეგრაციას.

ამ სტრატეგიის მიზანი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა, მათი ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, არსებული რესურსების გათვალისწინებით, რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის სრულფასოვანი განხორციელებისთვის ხელშეწყობაა.

ტრეფიკინგის მსხვერპლთა/დაზარალებულთა რეაბილიტაციის ღონისძიებები საქართველოს ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოების მიერ ხორციელდება მხოლოდ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის/დაზარალებული პირის ინფორმირებული წერილობითი თანხმობის საფუძველზე, საქართველოში მოქმედ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობითა და მათი რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის ღონისძიებებში უშუალო მონაწილეობით.

რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის სტრატეგია ვრცელდება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლსა და დაზარალებულზე, მიუხედავად იმისა, მოთავსებულია თუ არა იგი თავშესაფარში და თანამშრომლობს თუ არა გამოძიებასთან.

რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის განმარტება

ამ სტრატეგიის მიზნებისათვის:

“რეაბილიტაცია” ნიშნავს:
ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლისათვის/დაზარალებული პირისათვის თავშესაფარში და მის ფარგლებს გარეთ გაწეული მომსახურების, უფასო სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარების შედეგად მისი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის აღდგენას.

"რეინტეგრაცია" ნიშნავს:
ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლისათვის/დაზარალებული პირისათვის გაწეული დახმარების შედეგად მის ოჯახში და/ან ჩვეულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ღირსეულ დაბრუნებას და სოციალური ფუნქციონირების ამაღლებას (უნარ–ჩვევების მიცემას, რაც მას ხელს შეუწყობს სამსახურის მოძიებაში, ა.შ).

1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის ღონისძიებების კოორდინაცია

1.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის მიზნების მისაღწევად, საქართველოს ხელისუფლება მჭიდროდ თანამშრომლობს ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროგრამების განხორციელებისას საქართველოს ხელისუფლების სახელით მოქმედებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, რომელიც ახორციელებს სარეაბილიტაციო/სარეინტეგრაციო საქმიანობის კოორდინირებას.

1.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის სფეროში საქმიანობის კოორდინაციის მიზნით ფონდი სამ თვეში ერთხელ აწყობს შეხვედრას რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის წარმმართველ სუბიექტებთან, მათთან ერთად აჯამებს გასული კვარტლის შედეგებს, განიხილავს პრობლემურ საკითხებს და სახავს გეგმებს მომდევნო კვარტლისათვის.

2. რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის პროცესის წარმმართველი სუბიექტები

2.1. ამ სტრატეგიის მიზნების მისაღწევად ტრეფიკინგის მსხვერპლთა/დაზარალებულთა რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის პროცესი წარიმართება

მსხვერპლთა/დაზარალებულთა რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის ინდივიდუალური გეგმის საფუძველზე, შემდეგი სუბიექტების მიერ:

ა) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, სხვა შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებთან ერთად;
ბ) ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია;
გ) საერთაშორისო ორგანიზაცია;
დ) სოციალური მუშაკი.

3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის, დაზარალებულის საზოგადოებაში რეინტეგრაციის ინდივიდუალური გეგმის შედგენა

3.1. რეაბილიტაციის პროცესი იწყება მსხვერპლის/დაზარალებული პირისათვის შესაბამისი სტატუსის მინიჭების მომენტიდან.

3.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის/დაზარალებულის საზოგადოებაში რეინტეგრაციასთან დაკავშირებული ღონისძიებები ხორციელდება მხოლოდ მსხვერპლის/დაზარალებულის წინასწარი ინფორმირებული, წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

3.3. შესაბამისი წესების დაცვით შედგენილი საზოგადოებაში რეინტეგრაციის ინდივიდუალური გეგმის[1] ეფექტურად განხორციელებაში სოციალური მუშაკი დახმარებას უწევს მსხვერპლს/დაზარალებულს გეგმის განხორციელების მთელი დროის განმავლობაში.

3.4. რეინტეგრაციის ინდივიდუალური გეგმის შედგენა ხორციელდება 2 ეტაპად:
ა) სოციალური მუშაკისა და მსხვერპლის/დაზარალებული პირის მიერ დგება საზოგადოებაში რეინტეგრაციის პირველადი გეგმა; ამ დოკუმენტის საფუძველზე, ფონდთან შეთანხმებით, სოციალური მუშაკი ახდენს არსებული რესურსების მოძიებას და მსხვერლთან/დაზარალებულ პირთან ერთად ადგენს რეაბილიტაციის ინდივიდუალური გეგმის საბოლოო პროექტს.
ბ) სოციალური მუშაკი საზოგადოებაში რეინტეგრაციის ინდივიდუალურ გეგმას დასამტკიცებლად წარუდგენს ფონდს. არსებული რესურსების გათვალისწინებით, ფონდთან შეთანხმებით, დგება რეაბილიტაციის საბოლოო გეგმა.

3.5. რეინტეგრაციის ინდივიდუალური გეგმის განხორციელებისას, გეგმაში გათვალისწინებული საჭიროებების ან შეთავაზებული მომსახურებების ჩამონათვალის შეცვლისას შესაძლებელია მასში ცვლილებების შეტანა. გეგმაში შეტანილი

[1] იხ. დანართი №1, რეინტეგრაციის ინდივიდუალური გეგმის ნიმუში

ცვლილების გაფორმება უნდა მოხდეს წერილობით და დადასტურდეს სოციალური მუშაკისა და მსხვერპლის/დაზარალებული პირის ხელმოწერებით.

4. ფონდის როლი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის პროცესში

4.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროცესს საქართველოს ხელისუფლების სახელით წარმართავს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი.

4.2. ფონდი რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროცესის სხვა წარმმართველ სუბიექტებთან ერთად შეიმუშავებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშემწყობ მომსახურებათა ჩამონათვალს.

4.3. ფონდი რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის წარმმართველი სუბიექტებისგან კვარტალში ერთხელ (ან საჭიროების მიხედვით) წერილობითი ფორმით იღებს ინფორმაციას მათ მიერ რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციისათვის უზრუნველყოფილ მომსახურებაში ცვლილებების შესახებ. ასეთი ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების შემდეგ ფონდი განაახლებს რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ მომსახურებათა ჩამონათვალს.

4.4. განახლებული დოკუმენტი ინახება ფონდში და მისი ასლი გადაეცემა სოციალურ მუშაკებს.

4.5. ფონდი შეიმუშავებს და შესაძლებლობის ფარგლებში აფინანსებს ისეთ მომსახურებას, რომლებიც ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ უზრუნველყოფილ მომსახურებასთან ერთად ქმნიან რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის საჭირო მომსახურების სრულ პაკეტს.

5. სოციალური მუშაკის მონაწილეობა საზოგადოებაში რეინტეგრაციის ინდივიდუალური გეგმის განხორციელებაში

5.1. სოციალური მუშაკი არის პირი, რომელიც ახორციელებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის, დაზარალებულის მომსახურებას ამ სტრატეგიით გათვალისწინებულ ფარგლებში, მისი საქმიანობა ექვემდებარება სახელმწიფო რეგულირებას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სოციალური მუშაკი ფონდის თანამშრომელია.

5.2. სოციალური მუშაკი მსხვერპლთან/დაზარალებულთან ერთად შეიმუშავებს საზოგადოებაში რეინტეგრაციის ინდივიდუალურ გეგმას. ინდივიდუალური გეგმის შედგენისას პრიორიტეტები უნდა დაიყოს 2 ჯგუფად: ა) აუცილებელი და ბ) სასურველი მომსახურება.

5.3. შესაბამისი მომსახურებისათვის დაფინანსების მოძიებისას პრიორიტეტი მიენიჭება საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის აუცილებელ მომსახურებას. შესაძლებლობის ფარგლებში შესაძლოა უზრუნველყოფილი იქნეს საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის სასურველი მომსახურების უზრუნველყოფაც.

5.4. მომსახურების ჩამონათვალში მითითებული ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ უზრუნველყოფილი მომსახურების მისაღებად სოციალური მუშაკი ფონდთან შეთანხმებით შუამდგომლობს შესაბამის ორგანიზაციებთან მსხვერპლის/დაზარალებულის სახელით.

5.5. თუ საზოგადოებაში რეინტეგრაციის ინდივიდუალური გეგმით გათვალისწინებული აუცილებელი კომპონენტების განხორციელება ვერ ხერხდება რეინტეგრაციის პროცესის წარმმართველი ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, ფონდი განიხილავს ამ კომპონენტების განხორციელებისათვის საკუთარი სახსრებიდან დაფინანსების გამოყოფის საკითხს.

5.6. ფონდის მიერ დასაფინანსებელი მომსახურება განისაზღვრება რეინტეგრაციის ინდივიდუალური გეგმით გათვალისწინებული საჭიროების შესაბამისად, ერთ მსხვერპლზე/დაზარალებულზე არაუმეტეს 2,000 ლარის ოდენობით. ფონდის ფინანსური სახსრებიდან რეინტეგრაციის ხელშემწყობი მომსახურების დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფონდი.

6. ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების როლი რეინტეგრაციის პროცესში

6.1. სოციალური მუშაკისა და მსხვერპლის/დაზარალებულის მიერ ერთობლივად შემუშავებული საზოგადოებაში რეინტეგრაციის ინდივიდუალური გეგმით გათვალისწინებული საჭიროებებისა და მოთხოვნების შესაბამისად ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები რეაბილიტაციის პროცესში მონაწილეებენ მათი პროგრამებისა და მომსახურების ფარგლებში.

7. სოციალური მუშაკის როლი რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის პროცესში

7.1. სოციალურ მუშაკთა მონაცემთა ბაზა იქმნება ფონდის მიერ.

7.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის/დაზარალებული პირის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მსხვერპლს/დაზარალებულს ფონდი გამოუყოფს სოციალურ მუშაკს, რომელიც ამ მომენტიდან იწყებს მუშაობას

მსხვერპლთან/დაზარალებულ პირთან, და საწყის ეტაპზევე გამოავლენს მისი რეაბილიტაციისათვის აუცლებელ პირველად საჭიროებებს, რომლებიც მიმართულია ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის აღდგენაზე.

7.3. საზოგადოებაში რეინტეგრაციის ინდივიდუალური გეგმა

საზოგადოებაში რეინტეგრაციის ინდივიდუალური გეგმის შედგენა ორ ეტაპად ხორციელდება:

- სოციალური მუშაკისა და მსხვერპლის/დაზარალებულის მიერ ინდივიდუალური რეინტეგრაციის საჭიროებების გამოვლენის საფუძველზე დგება პირველადი გეგმა;
- სოციალური მუშაკის მიერ პირველადი გეგმის ფონდისთვის წარდგენის შემდეგ, ფონდთან შეთანხმებით და საზოგადოებაში რეინტეგრაციის სფეროში არსებული ყველა რესურსის გათვალისწინებით, დგება რეინტეგრაციის ინდივიდუალური საბოლოო გეგმა, რომლითაც განისაზღვრება მსხვერპლის/დაზარალებულის საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის აუცილებელი კონკრეტული მომსახურებები, მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების მითითებით.

7.4. პირველ ეტაპზე, სოციალური მუშაკი განუმარტავს მსხვერპლს/დაზარალებულს საზოგადოებაში რეინტეგრაციის მნიშვნელობასა და მის საჭიროებას, ასევე მიაწვდის ინფორმაციას რეინტეგრაციის ინდივიდუალური გეგმის შედგენასა და განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა პროცედურის თაობაზე. სოციალური მუშაკი მსხვერპლის/დაზარალებულის ინფორმირებული თანხმობით, მსხვერპლთან/ დაზარალებულთან ერთად გამოავლენს საზოგადოებაში ამ უკანასკნელის რეინტეგრაციისათვის აუცილებელ საჭიროებებს.

7.5. სოციალური მუშაკი საზოგადოებაში რეინტეგრაციის ინდივიდუალურ პირველად გეგმას წარუდგენს ფონდს. ფონდთან შეთანხმებით სოციალური მუშაკი მიმართავს რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროცესის წარმმართველ საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს მათ მიერ მსხვერპლთა/დაზარალებულთა საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის უზრუნველყოფილი მომსახურების მისაღებად.

7.6. რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროცესის წარმმართველი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებისგან კონკრეტული მომსახურების მოწოდების შესახებ თანხმობის მიღების შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში ფონდის მიერ კონკრეტული მომსახურების დაფინანსების ჩათვლით, სოციალური მუშაკი მსხვერპლთან/დაზარალებულთან ერთად ადგენს საზოგადოებაში რეინტეგრაციის ინდივიდუალურ საბოლოო გეგმას.

7.7. საზოგადოებაში რეინტეგრაციის დროში გაწერილ, ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას სოციალური მუშაკი აყალიბებს ამისათვის სპეციალურად შექმნილი, ფონდის მიერ დამტკიცებული რეინტეგრაციის ინდივიდუალური გეგმის გზამკვლევის შესაბამისად.

7.8. საზოგადოებაში რეინტეგრაციის ინდივიდუალურ გეგმას ხელს აწერენ მსხვერპლი/დაზარალებული და სოციალური მუშაკი.

7.9. საზოგადოებაში რეინტეგრაციის ინდივიდუალური გეგმის შესასრულებლად გამოყოფილი თანხისა თუ მომსახურების ეფექტურ გამოყენებაზე პასუხისმგებელია სოციალური მუშაკი. სოციალური მუშაკი თვეში ერთხელ პერიოდულ ანგარიშებს წარუდგენს ფონდსა და მომსახურების ყველა მიმწოდებელს გაწეული ხარჯებისა და შესრულებული სამუშაოს შესახებ.

7.10. საზოგადოებაში რეინტეგრაციის ინდივიდუალური გეგმა დროში გაწერილია და მისი ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს.

7.11. საზოგადოებაში რეინტეგრაციის პროცესის დასრულების – რეინტეგრაციის ინდივიდუალური გეგმის ამოწურვის შემდეგ - სოციალური მუშაკი პერიოდულად, მსხვერპლთან/ დაზარალებულთან შეთანხმებული ფორმით, დროსა და მეთოდით უკავშირდება მას, კონტაქტის სრული კონფიდენციალურობის დაცვით.

7.12. საზოგადოებაში რეინტეგრაციის ინდივიდუალური გეგმის შეწყვეტის საფუძველი

რეინტეგრაციის ინდივიდუალური გეგმა შეიძლება შეწყდეს შემდეგი საფუძვლების არსებობისას:

- რეინტეგრაციო პროგრამის ვადის გასვლა;
- ფონდის მიერ მსხვერპლის/დაზარალებულის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე (რეაბილიტაციის გეგმით გათვალისწინებული საჭიროებების შეცვლისას, მაგ: ოჯახის შექმნა, ა.შ.)
- ფონდის მიერ, მსხვერპლის/დაზარალებულის მიერ ინდივიდუალური გეგმის განხორციელების პროცესის უხეშად და არაერთგზის დარღვევისას.

8. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის, დაზარალებული პირის საზოგადოებაში რეინტეგრაციის ინდივიდუალური გეგმის განხორციელების მონიტორინგი

8.1. ინდივიდუალური გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელია სოციალური მუშაკი. გეგმის განხორციელების მონიტორინგი ხდება ფონდის მიერ, აგრეთვე რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროცესში მონაწილე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, მათი კომპეტენციის ფარგლებში.

8.2. მონიტორინგის განხორციელების პროცესში ფონდს უფლება აქვს მოითხოვოს სოციალური მუშაკისაგან ინფორმაცია გეგმის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე.